ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3023184

ნომერი: AR1452965

თარიღი : 25.12.2016

გაცემის თარიღი : 30.12.2016

გაცნობის თარიღი : 20.01.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოტე მარჯანიშვილის ქუჩა N44;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მარინა კოდუა პ/ნ 01006007990
- ქ.თბილისი ძველი თბილისის რაიონი მარჯანიშვილის #44

ორგანიზაცია:
- შპს კოლხეთი XXI კოდი: 202910822

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ''კოლხეთი XXI"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202910822
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მარინა კოდუა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006007990

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2442593
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.02.2016

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლადო გოგილაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N44 (ძეგლი)/48–ში შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოები ნაწარმოებია სამსახურის 19.02.2016 წლის №2442593 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის დარღვევით.

განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის თანახმად აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ კანონთ დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც და უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ". აღნიშნული კანონი კი არ ითვალისწინებს, ძეგლზე შესაბამისი ნებართვის მიღებამდე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ძეგლზე უკვე ნაწარმოებ სამუშაოებზე ნებართვის გაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვას, ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N44 (ძეგლი)/48–ში შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.